# სამშობლო

შაბათი 18 ივლისი 1915 წ.

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. დ. დარჩენილი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 132 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 132

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.


ეროვნული ბიბლიოთეკა


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.


რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდრეული“ ამა ხუთ ივლისიდან თფილისში დაიწყო

**ღვინით ვაჭრობა.**

რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის, კახეთის და სხვა ღვინოები.

თფილისი, ოლღას ქუჩა, სახლი № 8. 5—4.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 16 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

I.

**სიკვდილის ტელეფონი.**

სამ ნაწილათ, ინგ. ბულვერის თავგადასავალიდან ვალტერ დიკენსის მონაწილეობით. ტურჩინსკის სცენარიუმი.

II.

მ. ი. უ. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს მის დასაფლავება.

III.

მხიარული კომედია **სიყვარულის ღმერთი** მხიარული კომედია

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 ივლ. ნაჩვენები იქნება: **ცოდვის აჩრდილი.**

სამ ნაწილათ. სამეფო თეატრის არტისტის ვ. ა. კარალლის მონაწ.

ქუთ. რეალური სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულების თანახმათ, სთხოვს ქუთაისში საზაფხულოდ დარჩენილ მოწაფეთა მშობლებსა და ნათესავთ, მობრძანდნენ რეალური სასწავლებლის შენობაში 1915 წ. კვირას, 19 ივლისს, დილის 11 საათ. დანიშნულ კრებაზე, მოწაფეების კლას გარედ ყოფაქცევისა და მისი მოწესრიგებისათვის ზომების გამოსამუშავებლათ.

ქუთ. რეალური სასწ. დირექტ. თან. აღმასრულებელი. 3—2.

**ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი** ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**

პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დაწყებით 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, ხარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.

ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

**კერძო ექიმი** მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეტი** მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

## დაიკარგა ძაღლი.

ფინია, (Комнатная собака) შემდეგ ნიშნების: ტანათ პატარა, ფერათ თეთრი, უკუდო, შავი ნიშანი აქვს თავზე, მარცხენა თვალზე და უკანა ფეხზე. მპოვნელს სთხოვენ მიიყვანოს სახელმწიფო ქონებათა სამართველოს უფროსთან ოზორინის შესახვევში ქებ. სახლში, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

## —| ა ბ ა ნ ო. |—

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადსხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.


# ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა. ზღვის პირის რაიონში დაამარცხეს ოსმალთა მზვერავი რაზმი.

გრანდიოზული ბრძოლა აღმოსავლეთის ასპარეზზე წინანდებური სისასტიკით სწარმოებს, მაგრამ აქ არსებითი ცვლილება არ მომხდარა და არც ბრძოლის ხაზი შეცვლილა. დვინასა და ნემანს შუა ცვლილება არ მომხდარა.

ნარევის ფრონტზე თუმცა ბრძოლა ისევ სწარმოებს, მაგრამ რადგანაც ორივე მხარე ამ ფრონტს დიდს ყურადღებას აქცევს, ამიტომ მას რუსები დიდის თავგამოდებით იცავენ და გერმანელების წინსვლას ხელს უშლიან.

15 ივლ. აქ ხაზი ისევ ძველებურათ დარჩა. შკვის შესართავთან, სადაც გერმანელები გადმოვიდნენ და ახლა მაგრათ ფეხის მოკიდებას სცდილობენ, როგორც დეპეშა იუწყება, მტერი დიდათ დაზარალებულა. მტერმა ვერ წაიწია წინ ვერც ნარევსა და ოჟს შუა.

კალვარიასთან, ვისლის მარცხენა ნაპირზე რუსის ჯარმა მოწინააღმდეგე შეავიწროვა.

გრუბეშოვის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლები გრძელდება. რუსები მთელი დღის განმავლობაში იგერებდენ მტრის იერიშებს. სოკალთან რუსის ჯარმა მოიგერია მტრის იერიშები.

ავსტრიელებმა გადმოლახეს კამენკასთან მდ. ბუგი და დაიკავეს რუსების ჯარის სანგრების ერთი ნაწილი, მაგრამ 15 ივლისს იძულებული გახდენ რუსის ჯარის მედგარი კონტრიერი მის შემდეგ ისევ მდინარის იქით გადასულიყვნენ.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**თფილისი.** 15 ივლისი. ოფიციალური. 13 ივლისის განმავლობაში ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. რუსების მოწინავე რაზმები საუცხოვოთ მოქმედებდნენ. ოლთისის მიმართულებით ახას რაიონში სროლა იყო. მუშის რაიონში ოსმალებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი, რის გამოც რუსების ჯარმა შეაჩერა დასავლეთისაკენ წინ სვლა და აღნიშნულ პოზიციებზე მოიყარა თავი. თანარჩენ პირზე შეტაკება არ მომხდარა.

**თფილისი.** 16 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან, 14 ივლ. ზღვის პირის რაიონში ოსმალოთა მზვერავი რაზმი სცდილობდა შეჭრილიყო ჩვენ საზვერავ ადგილში, მაგრამ გავდენეთ. ოლთისის მიმართულებით, სროლაა დანარჩენ ადგილებში ბრძოლა არ ყოფილა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 16 ივლ. მთავარ სარდლის შტაბისაგან. დვინასა და ნემანს შუა ცვლილება არ მომხდარა, ნარევის ფრონტის ხაზი 15 ივლ. აქ არ შეცვლილა. ნარევის მარცხენა ნაპირზე შკვის შესართავთან დამკვიდრების ცდის დროს მტერი დიდათ დაზარალდა, როჟანის რაიონში მტერი სცდილობდა იერიშის მოტანას ნარევსა და მდ. ოჟს შუა, მაგრამ წინ წაწევა ვერ მოახერხა, ბრუტზე სასტიკი სროლაა. სეროცკ-პულტუსკის მიმართულებით ნარევის ორივე ნაპირზე ბრძოლას შეხვედრითი ხასიათი ქონდა. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენ შევავიწროეთ მტრის მოწინავე ნაწილები გუბა-კალვარია-გროიცის მიმართულებით. ვისლასა და ვეპრჟს შუა სიწყნარეა. ვეპრჟსა და ბუგს შუა 14 ივლ. მტერი დიდათ დაზიანდა. სოფ. ოსტროვის მაიდანთან და გრუბეშოვის ჩრდილოეთით, ტერიატინ-ანოპოლის ფრონტზე ჩვენ მთელი დღე ვიგერებდით მტრის იერიშებს. მტერს კერძო იერიშები მოქონდა მაიდანთან და აგრეთვე ვოისლავიცეს აღმოსავლეთით და სოფ. კულაკოვიცესთან. ბუგზე, ქალ. სოკალის ზემოთ ჩვენ მოვიგერიეთ ავსტრიელების ორი იერიში. კამენკასთან ავსტრიელთა ექვსი პოლკი თან და თან გადმოვიდენ ბუგზე და მტერმა შესძლო ჩვენი სანგრების ნაწილის დაკავება, მაგრამ 15 ივლ. როდესაც მტერმა აქედან წინ წაწევა სცადა, ჩვენი არტილერიის დახმარებით მტერი ისევ უკუვაქციეთ მდინარის იქით. ერთი დღის განმავლობაში სოკალთან და კამენკასთან წამოვიყვანეთ 1500 ტყვე.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტროგრადი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი კულომზინი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეთ 1915 წლისთვის.

**პეტროგრადი.** მინისტრთა საბჭომ შეიწონა სათათბიროში შესატანათ კანონპროექტები: 1) განსაკუთრებული საბჭოს დაარსება სახელმწიფოს დაცვის შესახებ, 2) იმ წარმოებაში, რომელნიც ამზადებდენ სამხედრო სურსათს, დასტოვონ სამხედრო ბეგარის მოუხდელი მუშები. ამ მუშებს მუშაობის დრო ჩაეთვლებათ სამსახურში, 3) სახელმწიფო ბანკის ემისიის უფლების გაფართოება.

მინისტრთა საბჭომ ფინანსთა მინისტრს ნება დართო სამხედრო საჭიროებისათვის შეასრულოს 1 მილიარდი 500 მილიონის საკრედიტო ოპერაციები. მინისტრთა საბჭომ გადასდო 460000 მან. ციმბირში გზების გასაყვანათ ოქროს წარმოების გასაუმჯობესებლად. ეს გზები გაყვანილი იქნება სამხედრო ტყვეების დახმარებით.

### გემების ჩაძირვა.

**ლონდონი.** 14 ივლისი. ნორვეგიელთა დიდი გემი „ფინრეტი“, რომელიც ბერგენიდან მიდიოდა, გერმანელთა წყალქვეშა ნავმა ააფეთქა. მეზღვაურთაგან 20 კაცი ტარნოვეიში მოვიდა.

ნორვეგიის გემმა ლერვიკში 62 კაცი გადასხა, რომელნიც გადარჩენილა დალუპულ ტრაულერების „მემრიონის“, „სეტტონის“, „მანირიას“ და „კასსის“ მეზღვაურთაგან. ყველა ეს გემი დალუპულია ჩრდილოეთის ზღვაში გერმანელთა წყალქვეშა ნავების მიერ. მეზღვაურებმა 40—50 საათი გაატარეს ზღვაში ნავებზე, სანამ ისინი გემებმა არ შეამჩნიეს და არ გადაარჩინეს. გერმანელების წყალქვეშოთა მიერ აგრეთვე დალუპულ „ცატლინისა“ და „ციდონას“ მეზღვაურნი სტრომნესში მივიდნენ. „როსლოსა“ და „სტრატსურის“ მეზღვაურნი კი—ზეტოკილუსში გადავიდნენ.

**ლონდონი.** 14 ივლისი. ებერდინში მოვიდა კაპიტანი და 32 მეზღვაური გერმანელების წყალქვეშა ნავის მიერ დალუ-

პულ გემ „ლილენაუსი“. გემის აფეთქების წინ კაპიტანი და მეზღვაურნი ნავებში უნდა გადამსხდარიყვნენ და ამის შემდეგ გემი წყალქვეშა ნავმა ააფეთქა ორეის კუნძულიდან 8 ვერსის მანძილზე.

### დარდანელი.

**სოლუნი.** 13 ივლ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მცირე აზიიდან მოყვანილი ორი ახალი დივიზია გაგზავნეს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე. აგვისტოს დასაწყისში ოსმალებს სურთ სანდერსის ხელმძღვანელობით განაახლონ იერიშები მოკავშირეთა წინააღმდეგ.

**სოლუნი.** 15 ივლ. მიტილენიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჰაეროპლანმა დაანგრია სმირნაში გაზის ქარხანა. მოკავშირეთა ფლოტი ეს რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ ესვრის დარდანელის შინა სიმაგრეებს.

### ს პ ა რ ს ე თ ი.

**ისპანია.** 15 ივლ. მოვიდა რვა გერმანელი, მათ შორის სამი აფიცერია.

### სოციალისტების შეხვედრა.

**ციურიხი.** 15 ივლ. „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგის“ სიტყვით, ახლო მომავალში ჟენევაში მოხდება სამი ფრანგისა და სამი გერმანელების კონფერენცია. გერმანიის წარმომადგენლათ იქნებიან ბერნშტაინი, ჰააზე და კაუტსკი.

### გემის ჩაძირვა.

**სტოკჰოლმი.** 15 ივლ. შვეციის გემი „მადონნა“, რომელიც ტყის მასალით დატვირთული გარტლპულიდან მოდიოდა, გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ჩრდილო ზღვაში.

### ინგლისი და შეერთებული შტატები.

**ვაშინგტონი.** 14 ივლ. ლანსინგმა მიიღო გრეის ტელეგრამმა, გრეი იუწყება, რომ მთავრობა ამზადებს შტატებისთვის საპასუხო ნოტას და სთხოვს გუშინ მიღებულ ნოტას ნუ გამოაქვეყნებს ახალ ცნობამდის.

### ტრალერების ჩაძირვა.

**ლოუსტოფტი.** 15 ივლ. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გუშინ ტრალერები: „სალიაცია და მცენი“. კომანდა ლოუსტოფტში გადმოვიდა.

**ლონდონი.** 16 ივლ. ვორმვუდსკრების მიდამოში საავიაციო ბელლებში მოხდა აფეთქება გაზის გაპარვის გამო. მოკლულია სამი და დაჭრილია 20.

ბლიტიდან ლოიდს ატყობინებენ, რომ დილით იქ მოვიდა ნორვეგიის გემი „გაფირი“ სტაფენგერიდან იმ გემებთა კომანდით, რომელნიც გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ორშაბათს ნორტუმბერლენდის ნაპირიდან 130 მილზე. ეს გემებია: შვეციის გემი „ემა“, რომელიც გოტენბორგიდან ტყით დატვირთული მოდიოდა, ქრისტიანიიდან ლიტში მიმავალი დანიის გემი „მარია“, ქრისტიანიიდან ლიტში მიმავალი დანიის გემი „ნეპტუნი“ და ქრისტიანიიდან ლიტში შეშით მიმავალი დანიის გემი.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 16 ივლ. მთავარ ბინის ცნობა. კარნიაში მტერმა ნისლით ისარგებლა და იერიშის მიტანა სურდა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ პასსო დელკაჩიატორეს უღელტეხილზე, მონტენიადონის და მონტევაიანცას შუა, მაგრამ მალე მოვიგერეთ. ჩვენმა მსროლელებმა იერიში მიიტანეს მალპიკოლეს სანგრებზე და სანგართა დიდი ნაწილი დაიპყრეს. კორსოში მთელი დღე ვამაგრებთ პოზიციებს, რომელიც ამას წინათ ავიღეთ. ცენტრში საგრძნობათ წინ წავიწიეთ. დამატებითი ცნობით ტყვე აფიცერთა რიცხვი 13 ივლისს უდრის 102.

**ლოუსტოფტი.** 16 ივლ. სათევზაო გემი „ვესტვორგო“ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ჩრდილო ზღვაში. კამანდა აქ გადმოვიდა.

**ლონდონი.** 16 ივლ. დღეს ლოუსტოფტის ახლო ჩაიძირა გემი „ანგარა“. ამის შესახებ ოფიც. იუწყებიან, რომ მოკლულია ორი მექანიკოსი და დაჭრილია ცხრა კაცი, ზოგი მძიმეთ.

გრიმსბი გამოსხდა ნორვეგიის გემის „საგნედალენის“ კომანდა, რომელიც კვირას გერმანიის წყალქვეშა ნავმა ააფეთქა, კომანდას ათი წუთის დრო მისცეს და შემდეგ ისინი შვეციის გემმა აიყვანა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 15 ივლ. ოფიც. სალამოს 11 საათზე. დღის განმავლობაში მთელ ფრონტზე—ზღვიდან მოკიდებული ვოგეზამდე, არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ჩვენ დავიკავეთ ლინგენკოფის და შრაცმანელნის აღმოსავლეთით მტრის ორი ბლოკჰაუზი.

**პარიზი.** 15 ივლ. ოფიც. დღის სამ საათზე. არტუაში და სუშეს ჩრდილოეთით სასტიკი სროლის შემდეგ გერმანელებმა ღამით სამ ადგილზე იერიში მოიტანეს. ცხარე ბრძოლის შემდეგ გამოვრეკეთ იმ სანგრებიდან, რომლის დაკავებაც მოასწრეს, გარდა ერთი ადგილისა, სადაც უკავიათ 20 მეტრის ადგილი. გუშინ სალამოს ესროდენ სუასონს. არგონში, ფონტენოშარმის რაიონში მტერი სცდილობდა იერიშის მოტანას, მაგრამ უკუვაქციეთ. დანარჩენ ადგილებში ღამემ წყნარათ ჩაიარა.

დარდანელში ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა ჯარმა მარჯვენა წვერით ოდნავ წინ წაიწია. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს მტრის ახალ ავიაციის ბანაკში ჩამაკის ჩრდილოეთით, სადაც დიდი ცეცხლი გაჩნდა.

**ლონდონი.** 15 ივლ. თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა ახალი სამინისტროს შესახებ ცნობები წარადგინა. არმიისთვის სურსათის მისაწვდენ სამინისტრომ დიდი ენერგია გამოიჩინა მექანიკურ რესურსების სარგებლობის საქმეში. ბევრი ქარხანა და ფაბრიკა გააფართოეს თოფების დასამზადებლათ. მარტო ერთ თვეში 40,000 ქალი და კაცი მიემატა მუშათა საზოგადო რიცხვს, რომელიც თოფების ქარხნებში მუშაობს, ამ ხანათ მოწყობილია 16 სახაზინო ქარხანა სამხედრო სურსათის დასამზადებლათ. საფრანგეთის სამხედრო მინისტრთან და სამხედრო პირებთან თათბირის შემდეგ გადაწყვეტილია გაახორციელონ დიდი პროგრამა. ამ პროგრამაში შედის ათი დამატებითი სპეციალურის არსენალის მოწყობა. შეუკვეთეს ახალი მანქანები და შეუდგენ შენობების კეთებას. არსენალების მოწყობა დამთავრდება რამდენიმე კვირაში ან თვეში. ზომებია მიღებული ასაფეთქებელი მასალის დასამზადებლათ. ამ მასალამ უნდა დააკმაყოფილოს ჯარის ვეება მოთხოვნილება. სამხედრო სურსათის დამზადება თანდათან უმჯობესდება.

### ომის წლის თავი.

**ნიში.** 15 ივლ. ომის წლის თავის შესრულების გამო გაზეთები ამბობენ, რომ პატარა სერბია ამაყობს ჯარის გამარჯვებით წასულ წელში. მტერი რამდენჯერმე დამარცხდა და სამარცხვინოთ განდევნილ იქნა სერბიის საზღვრებიდან.

### გერმანია და შეერთებული შტატები.

**სტოკჰოლმი.** 16 ივლ. „ფოსიშე ცაიტუნგის“ სიტყვით გერმანია ახლო ხანაში პასუხს არ გასცემს ამერიკის ნოტაზე. წყალქვეშა ნავებით ბრძოლა ისევ გაგრძელდება ძველებურათ.

პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანელებმა 250,000 ფრანკით დააჯარიმეს ანტვერპენი ეროვნული უქმის დროს მანიფესტაციის მოხდენისთვის, გერმანელებს გააქვთ ბელგიიდან მანქანები.

**პარიზი.** 16 ივლ. ისილემუნოდან იუწყებიან, რომ სალამოს 8 საათზე ცეცხლი წაეკიდა ჰაეროპლანს 300 მეტრის სიმაღლეზე. ჰაეროპლანი დაიმტვრა და ორივე ავიატორები დაიწვენ.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### რუსეთის ქრონიკა.

11 ივლისს სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნ. ს. ჩხეიძე წარუდგა შინაგან საქმეთა მინისტრს თ-დ ნ. ბ. შჩერბატოვს. პირადათ მოლაპარაკების დროს დეპუტატმა პროტესტი გამოაცხადა მინისტრის წინაშე შესახებ იმ ზვერვისა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ხდებოდა მის გარშემო. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა, რომ მისგან ტელეგრამის მიღების შემდეგ დააჯარიმა ლიტეინის ნაწილის ბოქაული შებენკო. ჩხეიძემ აუწყა მინისტრს, რომ 5 გასამართლებული ს.-დ. დეპუტატები კრასნოიარსკიდან ტურუხანის მხარეს მიემგზავრებიან. დეპუტატებმა სთხოვა მინისტრს, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ხელი არ შეუშალოს მათ სახელზე გაგზავნილ ამანათების მიღებაში. შემდეგ დეპუტატმა აუწყა მინისტრს პოლიტიკურ გადასახლებულთა მდგომარეობა. ნ. ს. ჩხეიძემ გააცნო მინისტრს მინუსინსკიდან მიღებული დეპეში შესახებ „მინუსინსკი ლისტოკის“ დახურვისა ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგ.“ ვაშინგტონიდან დეპეშით აუწყებენ, რომ გუშინდელ მინისტრთა კრებაზე პრეზიდენტ ვილსონის თავმჯდომარეობით მიღებული იყო უკანასკნელი გადაწყვეტილება: მოითხოვონ გერმანიიდან ახალი ნოტა, რომელიც კატეგორიულათ, ნათლათ და ყოველ ორაზროვნებას გარეშე პასუხს იძლეოდეს შეერთებულ შტატების მოთხოვნილებაზე.

**კოპენჰაგენი.** გერმანელი გაზეთები იუწყებიან, რომ ბრიუსელში მუნიციპალიტეტმა შემოიღო სავალდებულო პროფესიონალური სწავლა იმ უმუშაოთ დარჩენილთათვის, რომელიც სარგებლობენ ქალაქის დახმარებით.

**კოპენჰაგენი.** ვენიდან ჟენევის გაზეთს აუწყებენ, რომ ფრანც იოსების მდგომარეობა ძლიერ აშინებს სასახლის წრეს.

იმპერატორს ნერვიული ბნედა მოსდის.

მ. ვ.

### ახალი თავმჯდომარე სახელმწიფო საბჭოში.

როგორც გაზეთ „რეჩს“ აუწყებენ, სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის ადგილზე ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრი სტატ-სეკრეტარი ა. ნ. კულომზინი.

**გააგა.** გენერალ მესსინგმა ბრძანება გასცა, რომლის ძალით თითოეული ბელგიელი 16 წ.—40 წ., რომელიც მოინდომებს ნებართვის აუღებლათ საზღვარზე გადასვლას, დასჯილი იქნება 5 წ. ციხეში დაპატიმრებით და [illegible] ფრ. ჯარიმის გადახდით.

ასეთივე სასჯელს მიიღებენ მათი [illegible] ხელსშეუწყობს ვისმეს გაქცევას.

**ლონდონი.** კინგსტონში მდ. ტემზე ვილაც უცნობი საზოგადოების მიერ მოხდენილი იყო მიტინგი, შესახებ ზავის ჩამოგდებისა. ორატორებს ხალხმა დაბპალი ვაშლები და კვერცხების სროლა დაუწყო, რის შემდეგ ხელით დაერიენ ერთმანეთს და რვა წუთის განმავლობაში ორატორები ქუჩაში გაყრილი იყვნენ. შემდეგ ჯარის კაცებმა და დარჩენილმა ხალხმა პატრიოტიული ჰიმნი იმღერეს და გაემართენ რკინის გზის სადგურისაგან, დაეცნენ სადგურის დარბაზს, სადაც თავი მოეყარათ პაციფისტებს. უკანასკნელნი მატარებელში მიიმალნენ.

### ასკვიტის ღირსშესანიშნავი განცხადება.

„მატენ“-ი დიდს მნიშვნელობას აძლევს ასკვიტის განცხადებას, რომ ინგლისმა უნდა გაიღოს ახალი სესხი უცხო ერებისადმი, რადგან მოკავშირებს უერთდება დღეს დღეობით ზოგიერთი ნეიტრალური სახელმწიფოც.

**კოპენჰაგენი.** უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ოსმალეთში ტიფი და ხოლერა მძინვარებს. გარდა სანიტარებისა, რუმინიიდან გადიან მრავალი გერმანელი ოფიცრები, ტეხნიკები და ინჟინრები მუშის ტანისამოსით გადაცმულნი.

## ომიანობა და ქალი.

„ომიანობა უძველესი დროიდანვე ადამიანის ერთ უმთავრეს საქმიანობას შეადგენდა“, ასე სწერს ერთს თავის გამოკვლევაში მეცნიერი შარლ ლეტურნო.

ეს ითქმის მხოლოთ მამაკაცზე, ხოლო რაც შეეხება ქალს, იგი მუდამ მშვიდობიან საქმიანობას მისდევდა, გარდა ზოგიერთ შემთხვევისა და გამონაკლისისა...

ისტორიულათ ცნობილია მაგალითათ, რომ ერთ დროს მეომარ-მხედარი ქალებიც იყვენ ამორძლებათ (ამაზონელებათ) წოდებულნი, რამლებიც მამაკაცებს შინ ტოვებდენ ხოლმე „სახლის მცველებათ“ და ბავშვების მომვლელებათ ხოლო თვითონ ამხედრებულნი და შეიარაღებულნი მტრის წინააღმდეგ ილაშქრებდენ.

მაგრამ ამორძლების მხედრობა-გალაშქრება ისეთსავე გამონაკლს შეადგენდა ძველ დროში, როგორც დღეს ევროპელთა ცხოვრებაში ესრეთ წოდებულ.

---

## რა არის სახალხო მასწავლებლის მოვალეობა.

(შემდეგი იხ. სამშ. 131-ე №)

როგორც სჩანს, ჩვენი მდგომარეობა აუტანელია და წარმოიდგინეთ, გვიყენებენ მოთხოვნილებას-აღვზარდოთ მაღალი ზნეობის, პატიოსნებისა და ცოდნის მქონე ადამიანები. მერე შეგვიძლია ჩვენ ესა? რასაკვირველია, არა. რომ ქვეყანას ადამიანები აღვუზარდოთ, ამისთვის საჭიროა უზრუნველგვყონ ჩვენ, როგორც მატერიალურად, ისე სულიერად. მაგრამ მათ, ვის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს ჩვენზე ზრუნვა, ნაკლებათ ზრუნვენ ჩვენთვის, საზოგადოება-კი ხშირად გულცივობას იჩენს, რადგანაც მას არა აქვს სასწავლო საქმე რიგიანად გათვალისწინებული. დავრჩით მარტო მასწავლებლები და არც ჩვენა ვართ დარაზმული, რისი მიზეზიც ის არის, რომ ჩხირკედელაობას ვიყავით მიჩვეული და სოციალისტურ პარტიებს ვეპოტინებოდით, მაშინ, როდესაც, არა თუ სოციალისტური, უბრალო გარემოებათა ახსნა გაგებაც არ შეგვეძლო. ეს ხდებოდა აქამდე, ახლა კი სხვა რიგ მიდის საქმე. უკვე ჩნდება ცხოვრების ჰორიზონტზე მომზადებული მასწავლებლები, რომლებსაც გათვალისწინებული აქვთ მომავალი და, აწმყოსთან ერთად, წარსულსაც იცნობენ. მათთვის საჭიროა შესცვალონ განწყობილება ხალხსა, მთავრობასა და მასწავლებელთა შორის. საჭიროა, დაარწმუნონ ხალხი, რომ მასწავლებელი მათ საკეთილდღეოთ შრომობს; საჭიროა და უმტკიცონ კალმიანს მტრებს, რომ ტყუილა-უბრალოდ ისინი არავის სამარცხვინო ბოძზე არ გააკვრევინებენ თავს. საჭიროა, დააჯერონ მმართველი წრეები, რომ ისინიც ანგარიშ-გასაწევი ხალხი არიან და მერე სასურველს ნიადაგზე დადგება სწავლა—აღზრდის საქმე ჩვენს მრავალ-ტანჯულს ქვეყანაში.

პირველი ორი საჭიროების შესახებ-ხალხის გადმობირება და ალვირ-წახსნილი კალმოსნების თარეშის მოსპობა-ვეცდები ჯეროვანი პროექტი წამ[illegible] [illegible] ხოლო მესამის შესახებ ამ წერ[illegible] არას ვიტყვი, რადგან ყველამ უწყის, თუ როდის გაგვიწევენ ანგარიშს ჩვენი უფროსები.

ჩვენს ქვეყანაში, თუმცა ამ ბოლოს ხშირად აარსებენ სასწავლებლებს, მაგრამ მაინც ბევრია იმისთანა კუთხე, სადაც მთელს სოფელში ორმა ან სამმა ძლივს იცის წერა-კითხვა. მიზეზი ერთი მხრით ხალხის დაუდევრობაა და მეორე მხრით ჩვენი გულგრილობა. ყოველ სოფელში, ყოველ საზოგადოებაში, სადაც კი სასწავლებელია დაარსებული, ამ უკანასკნელის კედელთა შორის სულიერ საზრდოს უნდა ღებულობდენ ბავშვებს გარდა მოზრდილებიც, რაც შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასწავლებელთან ერთად გახსნილია საკვირაო სკოლა, რის დაარსებასაც დიდი ენერგიით უნდა მოეკიდოს ჩვენი მასწავლებლობა, თუ მას ხალხისთვის კეთილი სწადია. მაგრამ იბადება კითხვა: მოვა ხალხი საკვირაო სკოლაში სამაცადინოდ და შეიგნებს მის მნიშვნელობას? პირველ ხანებში, რასაკვირველია, უნდობელი თვალით დაუწყებს ყურებას ჩვენს მოქმედებას, მაგრამ შემდეგ ნელნელა მიეჩვევა და ორი—სამი წლის განმავლობაში საკუთარს სკოლასაც დააარსებს მოზრდილთათვის, თუ საქმე წესიერად იქნა წაყვანილი. საკვირაო სკოლის დაარსებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის გაკეთილშობილებისთვის. წერა-კითხვასთან აქ ხალხი ეცნობა ისტორიას, გეოგრაფიას, საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებს და იწმინდება სულიერად; კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და ითვალისწინებს დღევანდელი ცხოვრების ვითარებას, ესწრება წარმოდგენებს და ებადება საკუთარი თეატრის დაარსების სურვილი; ეცნობა განათლებულს ხალხს და ხელს უწყობს სკოლათა გამრავლება-გაფართოებას. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმისთანა სოფელში საკვირაო სკოლის დაარსება, სადაც ხალხს მასწავლებელი მოხელედ და მხოლოდ ჯამაგირის კაცად ჰყავს წარმოდგენილი, რა ნაყოფს მოიტანს, ან ვინ მიეკარება იმ სკოლას, სადაც „ჩინოვნიკი“ ბრძანებლობს? იკითხავს მკითხველი, მართალია, არავინ არ მივა, მე ეს ვიცი გამოცდილებით. ზემო-იმერეთის ერთს სასწავლებელში მასწავლებლებმა განიზრახეს სახალხო კითხვების მოწყობა, აიღეს სათანადო ნებართვა და იწყეს საქმის განხორციელება, მაგრამ მსმენელები ვერ იშოვნეს; მერე არ იკითხავთ—რატომ? იმიტომ, რომ სხვა მისატყუებელი წამალი ვერ მოაწყვეს, თუმცა ეცადენ კი. მაშ, რა არის საჭირო, რომ ხალხის გული მოვიგოთ და შემდეგ ისინი განვავითაროთ გონებრივად, რომ ამით სწავლა აღზრდის საქმე, ხალხის განვითარებასთან ერთად, სასურველ კალაპოტში ჩადგეს?

ამ კითხვაზე პასუხი ერთია: თუ თქვენ გინდათ განათლების საქმის მოწესრიგება, ჩაერიეთ გლეხობის ეკონომიურ საქმეში, იზრუნეთ მათი მატერიალური მხარეების გაუმჯობესებისათვის და შემდეგ სულიერი საზრდომიაწოდეთ[,] თორემ ჩვენს ხალხში ისე არაფრის გაკეთება არ შეიძლება და ვერც ნანატრი სკოლების დაარსებას მოვესწრებით, რადგანაც, თუ რაიმე არ აერთებს ხალხსა და მასწავლებელს, ისე არაფერი არ გაკეთდება. ამის ნიშნებს ვხედავთ იმ სოფლებში, სადაც მარტო სკოლებია, რომლებიც დიდს გაჭირვებას განიცდიან ყოველი მხრით და მუყაითი მასწავლებლების მაცადინობა ხალხში ცოდნის შეტანის შესახებ ყოველთვის არა სასურველოდ ბოლოვდება.

კარგი, ჩავერიოთ ხალხის საქმეში და ვეცადოთ მათი მატერიალური მხარის გაუმჯობესობას, მაგრამ ეს ხომ „მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა, სამარის კარს მიმიტანეო“ გამოვა? როდესაც თვითონ შიმშილს განვიცდით, რა რიგ შეგვიძლია სხვისი დაპურება, ან როცა თვით მძიმე უღლის ქვეშ სულს ვღაფავთ, როგორღა ავზიდავთ სხვის ტვირთს?!

ჩვენი უღელი, ჩვენი შიმშილი, ჩვენი ტანჯვა, ჩვენი ცრემლები ადვილი მოსასპობი არ არის. აქ დაქსაქსული მასწავლებლები ვერაფერს გახდებიან. ამ საქმის მოსაგვარებლად სხვა რამ არის საჭირო. ჩვენი დაპურებისთვის ზრუნვა მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის და ვერც რამეს გავხდებით ისეთი მოქმედებით, როგორსაც აქნამდის ქონდა ადგილი. ჩვენი ტვირთის შემსუბუქება შეუძლია მხოლოდ საერთო თვითგამორკვევას, რომლის ერთ-ერთ საშუალება ხალხში შეგნების შეტანაა და ეს საქმე ისე არ მოხერხდება, თუ გლეხობის ეკონომიურად გაუმჯობესებაში არ მივიღეთ აქტიური მონაწილეობა.

თანამედროვე ცხოვრებამ ბევრი ისეთი მოთხოვნილება წამოაყენა, რომელიც წინად სიზმარშიაც არ მოელანდებოდა ჩვენებურს გლეხს. ერთი მხრით—ახალმა წესებმა და მეორე მხრით—ვაჭართა ალვირ-წახსნილმა თარეშმა ლამის ბოლო მოუღოს ჩვენი ხალხის კეთილ-დღეობას. იგი ვარდება ვალში და მსხვერპლი ხდება წარმოუდგენელი პროცენტებისა. ლეჩხუმის ფულის გამსესხებელი წლიურად ღებულობს არა ნაკლებს 20% და შორაპნისაში 20% 50%; ასე რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის მდგომარეობას მთელი სოფლები ვალში ვარდება, ორი, ან სამი კაცი კი ულმერთოდ მდიდრდება. რა იხსნის ხალხს ამ მევახშეებისაგან? ერთად ერთი—წვრილი კრედიტის საქმის მოწესრიგება, რასაც მთავარი ყურადღება უნდა ექნეს ჩვენ მიერ მიქცეული.

საამხანაგო ბანკის დაარსება შეძლებას მოგვცემს, ხშირად ვესაუბროთ ხალხს სხვა და სხვა საქმეზე და ამ საუბარში მთავარი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული ჩარჩ-ვაჭრების ალაგმვას, რაც არც ასე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით სჩანს. ვაჭრები ეს იმისთანა ხალხია, რომელიც არავითარ ზომას, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ თავისი ჯიბე გაისქელონ. ჩარჩები-ეს იმისთანა მტაცებლები არიან, რომელიც თვალთან ერთად თავის ქალსაც ჰკორტნის და რაღა გასაკვირვალია, თუ სოფლის მედუქნემ თვისი მოქმედებით შესამჩნევი ზარალი მიაყენოს გაძვალტყავებულს გლეხებს. მათი ასალაგმავი საშუალება-კი ერთად-ერთია, საჭიროა დაარსება სოფლად კოოპერატიული სავაჭროებისა და ქალაქად ამავე დარგის მაღაზიებისა. მაღაზიებთან საქმე ექნება წვრილ კოოპერატივებს, მაღაზიები-კი საჭირო საქონელს ქარხნებიდან მიიღებენ. საამხანაგო დუქნების დაარსებას ძალიან ხელს უწყობს ეხლანდელი სიძვირე და, სადაც ნიადაგი დამზადებულია, მასწავლებელმა ხელიდან არ უნდა გაუშვას ეს მშვენიერი შემთხვევა.

თქვენს სოფელში ბანკი და კოოპერატივი არსებობს; ჩაერიეთ კვალ და კვალ სამეურნეო დარგში; რაც არ იცოდეთ, ისწავლეთ გამოცდილი მეურნეებისგან; მოიშველიეთ „სასოფლო გაზეთის“ და „კოოპერაციის“ რედაქციები (იმყოფებიან ქუთაისში), ისინი თქვენის საშუალებით ხელმძღვანელობას გაუწევენ სოფლის მეურნეებს. თვითონ უჩვენეთ მაგალითი ხალხსა: გააკეთეთ სკოლასთან ვენახისა და ხეხილის პატარა ბაღები, გაიჩინეთ ფუტკარი, აბრეშუმის ჭია, თუთუნის სანიმუშო პლანტაცია, ასწავლეთ სკოლასა და მის გარეთ ყველას, ვინც შეგეკითხოსთ, მათი მოვლა-მოშენება, აუხსენით ხალხს საუკეთესო იარაღის შეძენის საჭიროება, ფულით ბანკი და კოოპერატივი დაგეხმარებათ, უხელმძღვანელეთ საზოგადოებას; ერთი სიტყვით, მიხვდით, რომ „Долгъ учителя—познать необходимость и примѣръ истиннаго образованія и **сочетать себя съ народомъ**“, როგორც ამბობს უკრაინელი სკოვოროდა, დიდებული კანტის ერთი მსმენელთაგანი.

ხალხი ხედავს ყოველივე ამას და ნდობით გეპყრობათ. აქ ხომ გაადვილებუ-

„სუფრაჟისტების“ პროტესტები და დემონსტრაციები წარმოადგენს.

„სუფრაჟისტებმა„ მოინდომეს „ამორძლებს“ ომში მონაწილეობის მიღებათაც დამსგავსებოდენ: ამით ისინი მამაკაცებთან გათანასწორების უფლებას თითქო ასაბუთებდენ; ვითომ ისინი ამორძლებივით მამაკაცების თანასწორნი არიან. ის კი დაავიწყდათ რომ ამორძლები თავისი ეპოქის-დედათ მთავრობის-შვილები იყვენ ხოლო ახლანდელი ინგლისის მეომარი „სუფრაჟისტები“ უსაქმურობით თავ მობეზრებული ქალები არიან.

ამ ორი თვის წინათ გაზეთებში ცნება გავრცელდა, თითქო ინგლისიდან ქალთა ლაშქარი, რამდენიმე ათასი „სუფრაჟისტი“ საფრანგეთში გამოიყვანეს გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველათო. ახლა როგორც ვრწმუნდებით, ეს ცნობა მტკნარი სიცრუე გამოდგა მხოლოთ გულუბრყვილოთა შესაცდენათ მოგონებული. სინამდვილე მხოლოთ იმაშია, რომ არა მარტო ინგლისში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიაც მოიპოვებიან ისეთი ქალები, რომელთაც საომარ იარაღით ბრძოლა სწყურიათ და უნდათ ამ საქმეშიაც მამაკაცთ გაუტოლდენ.

მაგრამ ასეთი ქალები, ვიმეორებთ, გამონაკლია. ქალს თავიდანვე წილათ ხვდა საშინაო შრომა და შვილების მოვლა-აღზრდა, აქედან მისი ბუნება-ხასიათი უფრო ჰუმანიურია; ის ძალმომრეობის გრძნობას და განადგურების ინსტიქტს მოკლებულია. გინახავთ ან გაგიგონიათ რომ ქალებს „პაგრომებში“ მონაწილეობა მიეღოთ? დამეთანხმებით, რომ ეს შეუძლებელია და ეს უმთავრესათ აიხსნება იმით, რომ ქალს მისი ჰუმანიური გრძნობა და უდანაშაულოთ უმწეო მდგომარეობის წარმოდგენა ნებას არ აძლევს მამაკაცივით გაიქენთოს შურის ძიებით... და იარაღით ხელში უბრალო ადამიანთა ჟლეტა-ხოცვას, აწიოკებას, გინდ მისი ქონების დატაცება-განადგურებას შეუდგეს.

მართალია, ისტორიამ იცის მეთუთხმეტე საუკუნის ერთი დედაბრის მაგალითი, რომელმაც იან ჰუსის საჯაროთ დაწვის დროს, კოცონს ფიჩხი შეუკეთა, რომ იან ჰუსის დაწვაში მონაწილეობა მასაც მიეღო; მაგრამ ეს ხომ ამ დედაბრის მართლმორწმუნეობის ძლიერ გრძნობას მიეწერება? ვინ იცის რამდენი ასეთი დედაბერ-მამაბერია დღეს ჩვენში, რომლებიც მხოლოთ თავიანთ „მართლმორწმუნეობის“ გრძნობას ემორჩილებიან, და „იდეისთვის მებრძოლთ“ უშრეტ კოცონზე ნელ-ნელა დასაწვავათ-საკატორღო ციხეში დასალპობათ-ამგზავრებენ!

მაგრამ ქალების სანუგეშოთ უნდა ითქვას, რომ ასეთები მათ შორის მცირეა კაცებთან შედარებით. ჯაშუშებათ მაგალითათ თავისი რწმენით უფრო მამაკაცები მიდიან, ვიდრე დედაკაცები. ქალები მამაკაცთა მოხიბვლაში არიან ცნობილნი და აი ამიტომაც დღეს ბევრია იმის მაგალითი, რომ სამხედრო ჯაშუშობაში დახელოვნებული მამაკაცი დედაკაცის ტანისამოსში გამოწყობილა და მტრის მოხიბვლას შედგომია: უნდა ქალის ხელობა ალერსი და კეკლუცობა-საშვალებათ იხმაროს და თავისი ნამდვილი ოსტატობა ჯაშუშობა სისრულეში მოიყვანოს; ჩანს ჯაშუშობა უფრო მამაკაცთ ეხერხებათ. თუმცა ეს ასე:. თუმცა არც ერთი ეპოქის ომიანობაში ქალს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია, ამისთვისაც საზოგადოებაში დაკანონდა, რომ ქალი ჯარის კაცათ არ გაიწვიონ რადგან იგი მეომრათ არ გამოდგებაო; მაგრამ მიუხედავათ ამისა ქალი, როგორც საზოგადოების წევრი, ყოველთვის საზოგადოებრივ ცხოვრების და მისი ცვალებადობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ქალი დედათმთავრობის ეპოქისა მრავალი მხრით ძირიანათ განსხვავდება პატრიარქალურ ეპოქის ქალისაგან; ფეოდალური ეპოქის ქალი, რაინდთა სატრფომიჯნური, ციხე-დარბაზშია განმარტოებით მომწყვდეული და „მზის უნახავს“ ემსგავსება იგი თითქმის არაფრით არა გავს „ამაზონელის“ ტიპის ქალს ერთი მხრით და ახლანდელ ფაბრიკის მუშა ქალს მეორე მხრით.

შეიცვალა ფეოდალიზმი კაპიტალიზმით და ქალიც გადასხვაფერდა: იგი ახლა განმარტოვებულ ცხოვრებას გაურბის, „მზეთ უნახაობა“ აღარ უნდა; ახლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევა და ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღება მასაც სწყურია; სოციალური გრძნობა-მოთხოვნილება ახლა მას საკმაოთ განუვითარდა; და ყველაფერი ეს მოხდა ომიანობის გარეშე: ქალი არც ახლაა მეომარი და მხედარი, იგი წინანდებურათ არც „პაგრომებში“ იღებს მონაწილეობას და არც „ტერორში, რადგან მისი ისტორიულათ შემუშავებული ბუნება ხასიათი ძალმომრეობას, ადამიანთა სისხლის ღვრას, ყოველგვარ განადგურება-აწიოკება-აოხრებას ვერ იტანს, ვერ იგუებს.

აი ეს ქალური ღირსება-ის ისტორიული განძია, რომელიც ნემეზიდამ კაცობრიობას უანდერძა და რომლის მეოხებით ქალებს შეუძლიათ დიადი როლი შეასრულონ კაცობრიობის განახლების დიდებულ საქმეში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარსული საუკუნეების ომიანობას, კაცთა ხოცვა-ჟლეტას და აწიოკება-აოხრებას ქალზე არავითარი კვალი არ დაემჩნიოს და მაზე გავლენა არ მოეხდინოსარა! პირიქით დიდია ომის გავლენა ქალზედაც; და ეს გავლენა იმდენათ ძლიერია და გარდამქნელი, რამდენათაც ქალი მამაკაცთან ახლო დგას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამდენათაც ის მამაკაცთან, ერთათ ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს.

ძველი დროის ომებში, მაგალითათ ქალი მეტ მონაწილეობას იღებდა, მეტ აქტივობას იჩენდა ვიდრე საშუალო საუკუნეებში. ამიტომაც ძველი დროის ქალი გამბედაობა-ვაჟკაცობაში და იარაღის ხმარებაში მამაკაცს მხოლოთ ცოტათი ჩამორჩებოდა. ამ დროის ქალი ჩვენი მეფე ერეკლეს ქართველ მხედარ ქალს, მათემაიას უფრო გავს, ან ანტონ ფურცელაძის გმირ ქალს ეკას („მაცი ხვიტია), ვიდრე ჩვეულებრივ ქალს.

**დ—ელი.**

(დასასრული ხვალ)

---

ლია საკვირაო სკოლის დაარსება. ნუ დაიყოვნებთ, ამოქმედდით ხალხისადმი სულიერი საზრდოს მიწოდებისათვის, გახსენით სკოლა, სადაც წერა-კითხვის სწავლებას რამოდენიმე თვეში მოასწრებთ და შემდეგ იზრუნეთ სამკითხველოსათვის. ესეც ადვილად მოსაგვარებელია, დუქანი და ბანკი იმდენს შემოსავალს მოგცემსთ, რომ ქართული პერიოდიული გამოცემები გამოიწეროთ. ხალხი ხედავს თქვენს უანგარო მოქმედებას და იმსჰვალება თქვენდამი პატივის-ცემით. დრო საუკეთესოა, ააგეთ საკუთარი შენობა ბანკისა და სამკითხველოსთვის, რაშიაც გექნებათ საერთო კრებებისთვის მოწყობილი ერთი დიდი ოთახი და შეუდექით წარმოდგენების მართვას. რაღა დაგრჩათ? საჭიროა ფერშალი და აფთიაქი; თქვენ ამაზედაც ადვილად დაითანხმებთ მადლიერს ხალხს. ყველა ამის შემდეგ კულტურული ძალა მომაგრდება და თქვენი მიზნის აღსრულებაც გაგიადვილდებათ. რასაკვირველია, რკინის ნერვების კაცი უნდა ამდენი საქმის გაკეთებას, მაგრამ, თუ ჩვენ ვერ მოვასწრებთ, სხვა განაგრძობს ჩვენს დაწყებულ საქმეს და, როცა იქნება, ქართველ ერსაც ეშველება რამე. მაშ, ასე—საჭიროა, დაარსდეს ყველა საზოგადოებაში პირველად წვრილი კრედიტის დაწესებულება, შემდეგ კოოპერატიული დუქანი, საკვირაო სკოლა, სამკითხველო, თეატრი, საფერშლო პუნქტი და აფთიაქი; როცა ყოველივე ეს იქნება შესრულებული, მერე, როგორც ჩვენი, ისე სკოლათა საქმის მოწესრიგება, რომელიც ცხოვრებამ უკვე წამოაყენა, გაადვილდება. ყოველი სახალხო მასწავლებელი ვალდებულია ამ მოვლენას შესაფერი ანგარიში გაუწიოს, თუ მას ოდნავ მაინც აქვს იმედი იმ ბრწყინვალე მომავლისა, რომელსაც გულის ფანცქალით მოელის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილთა უმრავლესობა და რომელიც სხვებთან ერთად მასწავლებლებსაც უზრუნველ ჰყოფს.

**ნარქანი.**

შემდეგი იქნება.

## ყაჩაღების თავდასხმა.

4 ივნისს, ღამის 11 საათი იქნებოდა, რომ სოფელ წასრში (შორაპ. მაზ.) აშკარათ თავს დაესხა თორმეტამდე შეიარაღებული კაცი ამავე სოფლის მცხოვრებს მაკარ ალექსის ძეს იაკობიძეს. ყაჩაღებს ორი დღის წინ დაუზვერიათ იაკობიძის დუქანი, ყველაფერი შინაარსი გაუგიათ და სწორეთ აღნიშნულ დროს უკანა კარებიდან მოსულან ცხენებით გამზადებული საქონლის წასაღებათ. რამდენიმე დარტყმისათანავე კარები შეუმტვრევიათ და შესულან დუქანში. მოხუცებულ იაკობიძესთვის თავზე საბანი წაუფარებიათ და რამდენიმე ყაჩაღი თავს დასდგომიან ხანჯალ ამოღებული. მოხუცისათვის შვიდი სუბუქი ჭრილობა მიუციათ ფულის გამოსაჩენათ. ეს ის მაკარ იაკობიძეა, რომელსაც მაისის ოცში მარჩენალი ხარები მოჰპარეს და უმწეოთ დასტოვეს ბოროტმა პირებმა, საწყალ გლეხს ერთი შვილი ბრძოლის ველზე ყავს გაგზავნილი და არ იცის ცოცხალი დაუბრუნდება თუ მკვდარი, მეორეც გამზადებულია წასაყვანათ და თუ რამე ებადა ერთ მშვენიერ დღეს ხელიდან გამოაცალეს ღვთის ახსნილმა ყაჩაღებმა.

ყაჩაღები თოფ იარაღში იყვენ ჩამსხდარნი და, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი წასრის მცხოვრებლები ამ ბოროტ მოქმედების დროს ფეხზე დადგენ, მიშველებით ვერვინ მიეშველა, რადგან ყაჩაღები ოთხსავ კუთხივ, თითქო ოსმალოები შემოესიენო, ზალპებს აძლევდენ. კვალდაკვალ გაყოლამ დაარწმუნა ყაჩაღების მიმდევრები, რომ გატაცებული საქონელი უნდა დაემალათ ჰორვილა—მერჯევის რაიონში, რადგან სოფელ წასრიდან ამ სოფლებამდი 10—12 ვერსამდი იქნება და ყაჩაღებს ამავე დროს გათენებამ მოასწრო. ეს, რასაკვირველია, მაშინვე ეცნობა საჩხერის ბოქაულს, რომელმაც, იმის ნაცვლათ რომ სოფლები შეეკრა და ყარაულები დაეყენებია, ჰორვილის მცხოვრებ ი. ნ—ძის რჩევით, ჯერ დუქნისკენ გასწია იმ ფაქტის შესამოწმებლათ—მართლა გაძარცულია დუქანი, თუ არა? ამასობაში კი ყაჩაღებმა დრო იხელთეს და გატაცებული საქონელი მიმალეს.

რადგან ნამდვილი დამნაშავენი ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერ აღმოაჩინა, მთავრობის განკარგულებით, მთელი ზარალი, რომელიც, ბოქაულის ოქმის მიხედვით, 3000 მანეთს უდრის, სოფელ წასრის მცხოვრებლებს ხვდება.

ეს გარემოება კიდევ უფრო აწუხებს უმწეოთ დარჩენილ ოჯახს, რადგან სოფელ წასრში მისი დუქნის გამცარცველები არ მოიძებნებიან და არც რაიმე დანაშაული მიუძღვისთ მათ.

გუშინ წინ მაკარ იაკობიძის რძალი (ჯარის კაცის მეუღლე) ქუთაისში ჩამოვიდა და გუბერნატორს თხოვნა მიართვა, რომლითაც სთხოვდა გეთავისუფლებია წასრელები ამ ფულის ანაზღაურებისაგან და ადმინისტრაციას მიეღო ყოველგვარი ზომა ბოროტ მოქმედების აღმოსაჩენათ რომელთა აღმოჩენაც მით უფრო ადვილია, რომ გატაცებული საქონელი გაატარეს, (თუ იქ არ არის) სოფ. ჰორვილისა და მერჯევის რაიონში და არც შეიძლება, რომ აქაურმა მცხოვრებლებმა მათი ვინაობა არ იცოდენ.

ამ შემთხვევაში სოფლელების მოვალეობაა ბოროტ გამზრახველების აღმოჩენაში ხელი შეუწყონ ადმინისტრაციას, თუ უნდათ, რომ მაკარ იაკობიძისთანა დღე არ გადახდეს თავზე და ამასთანავე გადაარჩინონ უდანაშაულო ხალხი ფულის ანაზღაურების გამო აწიოკებისაგან.

რა განკარგულებას მოახდენს ბ. გუბერნატორი ამ თხოვნაზე, ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ ბოროტმოქმედნი, თუ კიდევ მათ რაიმე სინიდისის ნატამალი შერჩენიათ, უნდა დაიტანჯონ უდანაშაულო ხალხის დარბევით.

ეჭვი არაა, თუ მათ ეს დანაშაული შერჩათ, სხვასაც გაუბოროტებენ ძილს და გადატაკების გზაზე დააყენებენ, მათი თარეშის შედეგი კი მთელ სოფლის საზოგადოებებს დააწვება კისერზე.

აქიდან აშკარაა, გლეხებმა თვით უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომა ასეთი ვაჟბატონების ასალაგმავათ. უნდა ეთხოვოს მთავრობას თითო სოფელზე რამდენიმე თოფის მიცემის ნება ასეთი შემთხვევებისათვის, თორემ ისე უიარაღო ხალხი შეიარაღებულ ყაჩაღს ბოროტ მოქმედების ჩადენის დროს ვერაოდეს დაიჭერს. ბოროტ მოქმედების ჩადენის შემდეგში მათი დაჭერა, როგორც ჩანს, ძნელი ყოფილა?!

**ლეო.**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

გუშინ დილის მატარებლით ოზურგეთიდან დაბრუნდა ქუთაისის გუბერნატორი კამერ-იუნკერი ბ-ნი პოტულოვი, რომელმაც დაათვალიერა მოუსავლობით დაზარალებული გურიის სოფლები.

✦ სამრეწლო სკოლის მასწავლებლებმა დაადგინეს; აღძრან შუამდგომლობა საქართველოს ეგზარხოსის პიტირიმის წინაშე, რომ სამრეწლო სკოლების მასწავლებლებს მიეცეს სუფსიდია სესხის სახით ომის დასრულებამდე.

მასწავლებლებმა აგრეთვე შუამდგომლობა აღძრეს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის წინაშე, რომ სამრეწლო სკოლების თავისუფალ ადგილზე გადაყვანილი იქნენ მცირე ჯამაგირიანი მასწავლებლები და არა ახლები.

✦ გუშინ, 17 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ღულაძის მინდორზე მოწვეული იყო ღულაძის მინდორის მომავალი სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება.

✦ 16 ივლისს, ქართული გიმნაზიის გამგეობამ სამოსწავლო ოლქიდან მიიღო მერვე კლასის მოწაფეების სიმწიფის მოწმობები, რომელიც დასამტკიცებლათ წარდგენილი იყო ამ ორი თვის წინათ. გიმნაზიის გამგეობა მოწმობებს უკვე არიგებს.

✦ 16 ივლისს, საოლქო სასამართლომ გაარჩია შალვა ვერულაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა 1914 წლის ივლისში ღ. ჩხარში 40 დუქნის გადაწვა. სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და ათი წლის კატორღა მიუსაჯა.

✦ შაბათს, 18 ივლისს, ღ. ახალ სენაკში მსახიობ სარელის დახმარებით ადგილობრივი სცენის მოყვარეების მიერ წარმოდგენილი იქნება „დასჯილნი“ დრ. 2 მოქ. დ. აწყურელისა. და „მიფურჩხულია“ ვოდ. 1 მოქ. დ. მესხისა. შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი.

✦ კვირას, 19 ივლისს, წარმოდგენილი იქნება: „საბედისწერო დამბაჩა“ დრ. 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა და დივერტისმენტი.

✦ კავკასიის ოლქის მზრუნველის განკარგულების თანახმათ, ხვალ, 19 ივლისს, დილას 11 საათზე რეალური სასწავლებლის დარბაზში მოხდება სასწავლებლის გამგეობისა და მოწაფეების მშობლების კრება, კლას გარეთ მოწაფეების ყოფაქცევისა და მისი მოწესრიგებისთვის ზომების გამოსამუშავებლათ.

✦ ღ. ხარაგოულში იხსნება ქართ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების განყოფილება.

✦ როგორც ზუგდიდიდან გვწერენ, იქ ამ დღეებში დაზარალებულთა დასარიგებლათ მიუღიათ 900 ფუთი სიმინდი და 1000 მან. ფული. ამ სიმინდიდან 80—80 ფუთი დაურიგებიათ ქვალონის, ხორგას, ხობის, დიდინეძის, ორძელის საზოგადოებებისთვის. 40—40 ფუთი:—ყულისკარის, კორცხელის, ზუგდიდის, წელენჯიხის და ჯოლოს საზოგადოებისათვის. 18—18 ფუთი: ცაიშის, კახათის, კოკის, ნიკოსიას, წაქვინჯის, ჯგალის, მუხურის, ჩხოროწყურის, წერწემეს და კირცხის საზოგადოებისთვის. ასევე გაანაწილეს ფულიც.

✦ დღეს, 18 ივლისს, ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს დავით ერისთავის და ვლადიმერ კვანჭანტირაძის საქმეს.

✦ ქუთაისის ახალგაზდობის ერთი ჯგუფი ამ დღეებში საექსკურსიოთ მიემგზავრება [illegible]ში. ექსკურსანტები დაათვალიერებენ შემდეგ ადგილებს: ბაღდიდს ზეკარს, აბასთუმანს, ახალ-ციხეს, ბორჯომს, წაღვერს, ცემს, ბაკურიანსა და სხ.

✦ გუბერნიის სამართველოს საამშენებლო განყოფილება სთხოვს ქალაქის გამგეობას რამდენ დესეტინა მიწას შეცავს საღორიის აგარაკი და რა შემოსავალს იძლევა წლიურათ.

## ღია წერილი

**ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგეს ბ-ნ იოსებ ივანეს-ძე ოცხელს.**

(დასასრული იხ. „სამ. № 131).

P. S ვიდრე ამ წერილს განვაგრძობდე, გულ-რწფელად ბოდიშს ვიხდი ჩემის ამხანაგების—ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის წინაშე იმ კორექტურულ შეცდომისა გამო, რომელიც გუშინდელ წერილში მოგვსვლია.

ერთ ადგილს დაბეჭდილია: მასწავლებელთა უმრავლესობა ლაქიებათა ჰყავს გადაქცეული.

**უნდა იყოს: მასწავლებელთა ძლიერი უმცირესობა ლაქიებათ ჰყავს გადაქცეული.**

მე ვგულისხმობდი ინსპექციის წევრებს და იმ თითო ოროლა პირთ, რომელთაც კარგად იცნობს მთელი ჩვენი კორპორაცია და რომლებზედაც ამავე წერილშია ლაპარაკი.

——

მე არ შევუდგები იმ პროგრამის კრიტიკას, გუშინ რომ დავსტამბეთ. ამისათვის აღარ დამაცალა ბმა ოხცელმა და მკითხველებს კი თავს მოვაბეზრებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ნახევარ წელიწადიც რომ გამეცდინა, მაინც გავივლიდი ამ პროგრამას უფრო ფართოთა და დალაგებით, ვიდრე ეს შედგენილი აქვს გიმნაზიის ინსპექციას. მაგრამ ღმერთი, რჯული არც გაკვეთილები გამომიტოვებია უმიზეზოთ!..

თებერვალში ბავშვი სოფლით (ფოფით) გამიხდა მძიმე ავათ, სიკვდილი პირაო იყო და ერთი კვირა [illegible] მოწმებს ექიმი ბ-ნი გიკუ[illegible] [illegible] ვისა და უშეშობის [illegible] ცივდი, გამიჩნდა ძნელი ფორმის ყელის ტკივილი, ყბა-ყურა (ანგინა) და კინილამ დავირჩე. ამანაც გამაცდინა ერთი თვე, თუ ხუთი კვირა. აი ჩემი დანაშაული და თუ ავადმყოფი მასწავლებელი ბრალ დასადებია—დამგმეთ და ჩამქოლეთ.

„მასწავლებელთა კორპორაცია“ რა შუაშია აქ, ან რათ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო, ვერ გამიგია.

დახმარების ღირსი ვიყავ ამ გაჭირვების დროს, თუ უკმაყოფილებისა? სხვა უჩემო მასწავლებელი ბ-ნ ოცხელის ლოცვა-კურთხევით სამას-ოთხას მანეთის დახმარებას აიღებდა **კომიტეტისაგან მოსარჩენად** და მე ავათმყოფობისაგან გამოტოვებულ გაკვეთილებს დანაშაულობათაც კი მითვლიან!

განა ეს არის სამართალი?

გარდა ამისა, ნუ თუ არა ჰყავს ბ-ნ ოცხელს ისეთი მასწავლებელი, რომელიც წელიწადში ექვსი თვე ავად ჭარის ხოლმე? განა არა ჰყავს ბ-ნ ოცხელს ისეთი მასწავლებელი, რომელიც სხვაგან სამსახურისა გამო მთელი წელიწადი არ უვლია ქართულ გიმნაზიაში და ჯამაგირს კი იღებდა, ან განა არა ჰყავს ბ-ნ ოცხელს ისეთი მასწავლებელი და წევრი ინსპექციისა, რომელიც აგერ წელიწად ნახევარია კლასში არ შესულა, სამსახურიდან დათხოვნილად ითვლება და ჯამაგირს კი უკლებლივ იღებს?

რა უფლება ჰქონდა, მაგალითად ბ-ნ ს. ხუნდაძეს დაემოწმებინა ოცხელისათვის, რომ მე მოვალეობა არ ამისრულებია. განა ასეთია მისი სამართლიანობა, და ზრუნვა ქართულ ენისათვის?

ან რას ჰფიქრობდა თვით ბ-ნი ოცხელი როცა ხილოვანს იმოწმებდა?

მე—ორი წლის მისულ მასწავლებელს —როგორ მიკიჟინებენ „მოვალეობის აუსრულებლობას“, როცა მეოთხე—მეხუთე კლასამდე (სადაც მე ვასწავლიდი) მოსულთა უმრავლესობამ კითხვა არ იციან და სახელი არსებითს ნაცვალ სახელისაგან ვერ არჩევენ. დაბალ კლასებშიც მე ვასწავლიდი? რა ნება აქვთ ორ წელიწადში მე სასწაული მომთხოვონ და თითონ კი ათი და ოციწლის განმავლობაში არა აკეთონ რა?

ან გამოუცდიათ როდისმე ჩემი მოწაფეები ცოდნაში? გამოცდები ამ ორ წელიწადში მათ არა ჰქონიათ და ზეპირად მასწავლებლის დაფასება კი მარტო ბ-ნ ოცხელსა და მის მოწმეებს თუ შეუძლიათ. მაშ, საიდან გაიგეს რომ მე ჩემს მოვალეობას არ ვასრულებდი?

ინსპექციის „პატივცემულ წევრები გერასიმე ცაგარეიშვილი და ს. ხუნდაძე თავის სიცოცხლეში არ დასწრებიან ჩემს გაკვეთილებს, არ მოუსმენიათ არც ჩემი ახსნა და განმარტება, არც გამოუკითხავთ მოწაფეებისათვის ცოდნა.

ახლა თქვენა გკითხავთ, განა **ასეთ** „ინსპექციის“ ნება იქვს მასწავლებლის დათხოვნისა „მოვალეობის აუსრულებლობისათვის“? იცოდენ კი როგორ ვასრულებდი ჩემ მოვალეობას? და განა იმათზე ნაკლებათ მესმის ჩემი მოვალეობა?

ზოგი ერთი მასწავლებლის **ერთი** გაკვეთილი სჯობია მეორის ათასს „ბააბუბს“, ამიტომ რომ ამდენი წლის განმავლობაში არამც თუ ვერ გაუწვრთნიათ ბავშვები, ანა-ბანაც კი ვერ უსწავლებიათ.

— მე მოწაფე გახლავართ ისეთ მექართულეებისა და ცნობილ მასწავლებლებისა, როგორიც არიან სოფ. მგალობლიშვილი, თ. ჟორდანია, ნიკო ლომოური. მე ჩემი საკუთარი მეთოდი მაქვს ქართულის სწავლებისა, ეს მეთოდი მთელის თავისის არსებით აყვარებს მოწაფეებს ქართულ წიგნს, ქართულ მწერლობას და ცხოვრებაში დიდი მოტრფიალენიც გამოდიან თავის ქვეყნისა. მე მავნებლათაც კი მიმაჩნია ძველი, ჩვენ გიმნაზიაში არსებული მეთოდი ქართულის სწავლებისა, შემოვიღე კიდეც ერთი ასეთი ცვლილება, რომელიც ჩვენ მოწაფეებს მალე გულის ხმაში ჩაავდებდა, მაგრამ განა მიაქციეს ამას ყურადღება?

ეს ცვლილება გახლავთ **დღიურის შემოღება** წერისათვის. ყოველ დღე თითო ეულ მოწაფეს უნდა დაეწერა ხოლმე კლასში წაკითხულ თუ ნასწავლ მოთხრობა ლექსის შინაარსი, დედა-აზრი, გმირების დახასიათება და სხვა. რასაკვირველია ყველა რვეულების გასწორება კლასში შეუძლებელი იყო, მაგრამ რომელ მოწაფესაც კი გამოუძახებდი ხოლმე, უეჭველად რვეულსაც გავუსწორებდი, შეცდომებს ვუჩვენებდი და მთელი კლასის ყურადღებას ვაქცევდი ამა თუ იმ მოწაფის ნამუშევარს. მერე დამიფასეს ეს ამაგი? და-

მაცალეს, რომ შრომის ნაყოფი მეჩვენებინა?...

დიახ, ქ. გიმნაზიის ინსპექციას გათვალისწინებულიც კი არ ჰქონდა ჩემი მეთოდი, ჩემი შრომა, ჩემი სიყვარული საგნისადმი და პანღური კი ამომკრა. რათა? იმიტომ რომ ყველა ჩვენი დაწესებულებანი ყალბ-პატრიოტების ხელშია, რომლებიც ყველაფერს ნათელ მირონობითა და შენ-ჩემობით აფასებენ.

კიდევ ვიმეორებ, უსამართლოდ მომექცა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ინსპექცია. იქაური ქართული ენის მასწავლებლები სდევნიან „ჰაე-თან-დონებს" მაგალითად „კარგათ"-ის მაგიერ მოწაფემ „გარგად" რომ დასწეროს „ედინიცას" სთხლიშამენ, „ქონიას" მაგიერ (რაც ყოვლად უაზრობაა) „ჰქონია" რომ დასწეროს, სიცოცხლეს გაუმწარებენ და ესმის თუ არა ბავშვს საგანი, იყვარებს იგი, თუ იძულებს ქართულ ენას—ასეთი უმსგავსო მოპყრობისათვის, ამას არავინ დაგიდევს... სწორეთ ამის მიზეზია რომ ქართული ენის ზოგი მასწავლებელი ბავშვებს სძულთ და თვით ქართულ ენას უგულოთ ეკიდებიან. სწორეთ უმსგავსო და ჩინოვნიკურ მოპყრობის ბრალია, რომ მოწაფეთა უმრავლესობა მერვე კლასამდე ისე მიდის, რომ ქართული სულ ზიწყდება და უბრალო ლიტერატურულ ცნებასა თუ მოვლენას ვერ აგიხსნით.

მე ორჯერ დავესწარ ქართული ენის გამოცდას მერვე კლასში და ყურებზე ხელი დავიფარე. შემრცხვა ამხანაგებისა, შემრცხვა მოპატიჟებული პირისა, შემრცხვა თვით მოწაფეებისაც!.. რას არაკუნებდენ, რას „ბოდავდენ", დიახ, რას ბოდავდენ ჩიქორთულათ, ალლახმა უწყოდა.

იქვე იყო გამოცდილი მასწავლებელი სამსონ ყიფიანიც—იყო მეორე პატივცემული მასწავლებელი. ნიკოლაიშვილი—აქვე იყო უცხო მასწავლებელი ბ-ნი გვეტსიანი... მამხილონ თუ ტყვილს ვამბობ!

მაშ, რადა მე დამინახა პატივცემულმა ინსპექციამ და რათ მიპანღურა—ნუ თუ ესენიც ჩემი მოსწავლენი იყვნენ?

მეორე შემთხვევას მოგახსენებთ.

შარშან—მეშვიდედან მერვეში გადამსვლელებისათვის—37 (!) კაცისათვის, წერაში განმეორებითი გამოცდები მიეცათ. ამ რვეულების გასწორება ბედმა მე მარგუნა და ძალიანაც ვწყევლე ჩემი ბედი და ის მასწავლებლებიც, ვისაც ასე დაუმახინჯებია ქართული ახალი თაობა. რათა? იმიტომ რომ 37 კაცში მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა ვაი ვაგლახით დაწერილი სამი, დანარჩენებს 1 ან 0 ეკუთვნოდათ... ბევრს არამც თუ ფრაზა და აზრი არა ჰქონდათ სწორი, ასოებიც კი არა სცოდნოდა. „ყ" და „ჩ" ერთმანეთში ვერ გაერჩია. მაგალითად „ყაყაჩოს" მაგიერ „ჩაჩაყო" დაეწერა.

მე რომ ბოროტი კაცი ვყოფილიყავ, ერთ ათს, ან ოც რვეულს შევინახავდი და, ახლა, როცა „მოვალეობის აუსრულებლობას მიკიჟინებენ" გადმოვუშლიდი ამ რვეულებს და ვეტყოდი. „ამის მასწავლებელს რაღა სახელი უნდა ეწოდოს მეთქი? მაგრამ, ვაი, რომ ოცხელისავით „შორსგამჭვრეტელი" არა ვარ...

მაშინ არც ერთ მოწაფეს ნიშანი არ დავუწერე. კომისიას წარვუდგინე და ვუთხარი: როგორც გინდათ ისე მოიქეცით მეთქი. ამასთანავე გამოვსთქვი ჩემი გულის წყრომა ქართულ ენის ასე შეურაცყოფისათვის.

მოვითხოვ, მაინც,—პატივცემულ ინსპექციისაგან მონახოს ის რვეულები და გამოჰფინოს მართლაც გამოსაგდებ-დასათხოვნ მასწავლებელთა დასახასიათებლად.

მაგრამ „ინსპექცია" ჩემზე უფრო მოხერხებული გამოდგა. როცა გავიცანი ჩვენი გიმნაზია, როცა შევიგნე და შევიმცნე მეთოდი თითოეულის ჩვენთაგანისა, სწორედ მაშინ მიჰკრეს პანღური და თან მევე მლანძღავენ საჯაროთ „მოვალეობას არ ასრულებდაო".

მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს რომ **კომიტეტი** სიმართლეს აღადგენს, მით უმეტეს, რომ ბ-ნმა ოცხელმა და მისმა მოწმეებმა მხოლოდ თავის ნებით დამითხოვეს. და დამითხოვეს მართლაც იმიტომ კი არა, რომ „მე ჩემს მოვალეობას არ ვასრულებდი" ან თუ რაიმე შეცდომა მომსვლია, ვერ გავასწორებდი. არა, დამითხოვეს იმიტომ, რომ მე შემომელანძღა **ოცხელების ფირმა**.

რომ ეს ასეა, რომ მხოლოდ ბ-ნ ოცხელის გულის-წყრომა ვამოიხატა ჩემ დათხოვნაში, ეს ნათლად სჩანს, აი, საიდან:

1). ვიდრე დათხოვნის ქაღალდს მივიღებდი, ე. ი. 2 ივლისამდე არც ერთის შეხედვით, არც ერთის ამოზგერით, არც ერთის სიტყვით არავის არ უგრძნობინებია ჩემთვის, რომ მე დასათხოვნათ ვიყავ განწირული. მომაკვდავსა და დასათხოვნ კაც ყოველთვის შეატყობთ.

2) სწორედ ივნისის პირველ რიცხვებშიგ ვქონდა კრება ეგრედ წოდებულ „საგნის კომისიას" ქართული ენის მასწავლებლებს; მე, ს. ხუნდაძეს, სამსონ ყიფიანს, ისონ ნიკოლაიშვილს, ბ. მომფარიას და დ. ნ. ლორთქიფანიძეს. სამი თუ ოთხი დღე ვმუშაობდით, წავიკითხეთ ძველი პროგრამები, შევასწორეთ, შევადგინეთ ახლები და ივნისის 15—20-ში ჩემი თანამშრომლის ხელით გადათეთრებულ პროგრამა ჩემის კლასებისა გავუგზავნე ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს.

არავის, არც ინსპექცის და არც წევრს „მთელის კორპორაციისას" არ უთქვამს ჩემთვის.

— უკაცრავათ, შენი შრომა აღარ გვჭირია, დათხოვნილი ბრძანდებით. თუკი დათხოვნილი ვიყავ, რაღა უფლებით მამუშავებდენ?

მე არ ვიცი რას ეძახის ბ ნი ოცხელი „ივნისის პირველ რიცხვებს", როცა „ინსპექციას **ერთხმად** გადაუწყვეტიათ ჩემი დათხოვნა (ინსპექციაში უნდა ვიგულისხმოთ მარტო ი. ი. ოცხელი და როგორც სჩანს, ყოვლად მორჩილი თავისის უფროსისა ბ-ნი გ. ცაგარეიშვილი. ბ-ნი ს. ხუნდაძე კი აგერ წელიწად ნახევარი თითონვე დათხოვნილია და მაშასადამე არც ხმა და არც მოწმობა არ შეეძლო)— მაგრამ ეს კი ვიცი რომ

3) **მაისის** ბოლო რიცხვებში თვით ბ-ნმა ოცხელმა მითხრა: „ამ დღეებში კამიტეტის კრება იქნება, განცხადება მომეცი და რაც ამ წელიწადში ჯამაგირი დაგაკლდა, ერთბაშათ გამოვიტანთო*). თუ **მაისში** ასეთი ჩემი „მოწყალე" იყო ძ-ნი ი. ოცხელი, როგორ-ღა უნდა დავიჯეროთ, რომ ამავე ოცხილს „რამდენიმე თვით ადრე განზრახული ჰქონდა მასწავლებლობისათვის თავი დაენებებინებინა, ან „**ივლისის** პირველ რიცხვებში რა მოხდა ისეთი, რომ „ინსპექციამ ერთ ხმად დამითხოვა". განა აქედან არა სჩანს, რომ ბ ნ ოცხელს ვუტყუვებივარ მთელი წელიწადი და ახლა კი თავს მართლულობს? განა აქედან არა სჩანს, რომ ჩემ დათხოვნაზე ბ-ნ ოცხელს უფიქრია მხოლოდ მას უკან როცა მისი მაღაზია გამხილეთ. „ინსპექციის **ერთხმად** გადაწყვეტილება-მხოლოდ ი. ოცხელის გადაწყვეტილებაა, გამოტანილი პირველ ივლისს სადამოთი (ჩემი მეორე წერილი ოცხელზე ბ-ის საპასუხოთ დაიბეჭდა ივლისის 2 თარიღის გაზეთში, რომელიც გამოვიდა პირველ ივლისს, საღამოს 5 საათზე) ან ორ ივლისს დილით.

4) ივლისის 22, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ჩემი პირველი წერილი დაიბეჭდა ოცხელის ფირმაზე, ბ-ნ ი. ი. ოცხელს ჩვენი რედაქციის მდივნისთვის ეთქვა: ია სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზისო. სჩანს, რომ მე ჯერ დათხოვნილი არ ვიყავ და დამითხოვდა კი, თუ არ გავჩუმდებოდი.

5) როცა დ. ოცხელის წერილი დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში". სადაც ასე უდიერათ ეხებოდენ ჩემ პიროვნებას და ძმ. ოცხელებმა გული მოიფხანეს ტყუილებით— რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან დიდათ პატივცემული მასწავლებელი სამსონ გიორგის ძე ყიფიანი და მირჩია ი. ოცხელს შევრიგებოდი, და მათთვის პასუხი აღარ გამეცა.

ბ-ნ ყიფიანს ისე ეჭირა თავი, თითქოს თავისით ლაპარაკობდა, მაგრამ ბრიყვიც კი შეატყობდა, რომ ის მოგზავნილი იყო. გარდა ამისა იმ დღეებში ბ-ნ ყიფიანის სიტყვით უნდა შემდგარიყო ახალი სარედაქციო კოლეგია, სადაც ბ-ნი ოცხელიც იქნებაო.

„ივნისის პირველ რიცხვებში" დათხოვნილი, რომ ვყოფილიყავ ს. ყიფიანს უკვე ეცოდინებოდა და ივნისის გასულს ასეთი მისი რჩევა ზედმეტი იქნებოდა.

6) ივლისის ორში მე დავსტამბე ოცხელების პასუხი (გაზეთი დაიბეჭდა 1 ივლისს სადამოთი), ხოლო 2 ივლისს ნაშუადღევს 2—3 საათზე მომივიდა დახურული პაკეტი— გავხსენ და წავიკითხე: „ინსპექციის დადგენილებით დათხოვნილი ხარო, (მკითხველმა უკვე იცის, ვინც არის ინსპექცია. თვით ოცხელი და გ. ცაგარეიშვილი.).

მწარეთ გამეცინა... ოცხელი—გამგე—და მოღვაწე, გადაიქცა—შურის მაძიებელ ოცხელად...

აი ნამდვილი სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის.

მე ვსთხოვ ბ-ნ ოცხელს ტყვილათ ნუ ცდილობს თავის გამართლებას და პირდაპირ, ვაჟკაცურათა სთქვას: —ძალა ხელში მქონდა და გიჩვენეო.

უნაკლულო არავინ და არაფერია. უნებური, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ უნებლიეთი ნაკლი და შეცდომა შეიძლება მეც მაქვს ან მომსვლია, მაგრამ ასეთ შეცდომებს ჩვენება, გასწორება უნდოდა და არა პანღური!

თუ ბ-ნი ოცხელი შურის ძიებამ არ გაიტაცა, რატომ თავის დროზე არ გამომიცხადა თავისი „განზრახვა", რატომ არ გამაფთხილა, არ დამარიგა, და ჩემთვის ასე მოულოდნელად რათ გადმომისროლა ქუჩაზე?

მე ღრმათა ვარ დარწმუნებული რომ მას, ბ-ნ ოცხელს, შემდეგი სურათი უდგია თვალწინ:

მას შემდეგ რაც კოლეგია შემომწყრა, კისრად დამაწვა მთელი რედაქცია. მე ხელმოკლე კაცი ვარ,—ეს რა დასამალია—ხელს ვინაცვლებდი იმ იმედით რომ რედაქციის ვალებს ჯამაგირიდან მაინც გავისტუმრებ მეთქი ნელ-ნელა, ახლა კი ეს სალსარი მომისპო და დღეს თუ არა ხვალ შეიძლება ისეთ პირობებში ჩავარდე რომ გაზეთი დამეხუროს, მაშინ ბ—ნი ოცხელი და მისი ვექილ—მოწმები დაიწყებენ ხარხარს:

— ჰე! გავსრისეთ თუ არა მატლივით, ბევრს რომ ყვიროდაო.

ასეთი შემთხვევა პირველი არ არის ჩემ ცხოვრებაში. ჩემი შრომა და ამაგი არ დამიფასეს გორელმა ოცხელებმაც და გაზეთ „ქართლის" ვალები დღესაც კისრად მაწევს, რაც დ. ოცხელსა და „სახალხო ფურცელს" სასაცილოთ აქვთ.

მაგრამ იმედი მაქვს ქართულ გიმნაზიის მზრუნველი კომიტეტი, და ქუთაისის ქართული საზოგადოება, რომელიც ასეთ თანაგრძნობას მიცხადებს, ზნეობრივათ გამამხნევებს და საგლახათ არ გამიხდის საქმეს. და თუნდაც კვლავ ქუჩაში დავრჩე და კვლავ ხელი გასაშვერად გამიხდეს, ვიდრე პირში სული მიდგია ხმა მაღლა ვიყვირებ:

— მაინც ბრუნავს!... სიმართლისათვის მოჭრილი მარჯვენა არ მეტკინება.

შეიძლება დადგეს ისეთი დრო, როცა ჩვენც გავიცინებთ და გავიხარებთ!. *)

**ი. ცინცაძე.**

*) ამ ჩემ მეორე განცხადებასაც ის ბედი ეწვია, რაც პირველს, ე. ი. კომიტეტს არ მოხსენებია. კომიტეტის მდივანმა კი მანუგეშა. „კომიტეტი **ცუდ გუნებაზე** იყო და მოხსენება შემდეგისათვის გადავდეთო". დამახასიათებელი სიტყვებია!

*) ეს წერილი უკვე დაწერილი გვქონდა, როცა წავიკითხეთ „სახალხო ფურცელში" ბ-ნ ვასილ წერეთლის წერილი ბ-ნ ი. ოცხელის საქებლოთ. დაწვრილებით პასუხს შემდეგ მივცემთ. ახლა კი მოვახსენებთ ბ-ნ წერეთელს, რომ იგი ისევე გულუბრყვილოთ სცდება, როგორც ყოველთვის სცდებოდა ხოლმე ხალხის დაფასებაში. ი. ც.

## იძულებითი განმარტება.

გაზ. „სამშობლოს" 128 ე №-ში მოთავსებულია ვიდაც სიმონის წერილი „რედაქციის მიმართ", რომლის საშუალებითაც მე სამედიატორო სასამართლოში მიწვევს არქიელის გორის ახალგაზდობის ერთი ჯგუფის სახელით.

საქმე აი რაშია:

— 4 ივლისს, არქიელის გორაზე ამ ახალგაზდებმა აჭარლების სახელით გამართეს წარმოდგენა. მხოლოდ ეს არ ამცნეს წინდაწინ საზოგადოებას. არ აღუნიშნავთ პრესაში და არსად სჩანდა არც „აფიშები" (!). მეორე დღეს მე, როგორც კორესპონდენტს, ბევრმა წარმოდგენის გამმართველებისადმი გულისწყრომა გამოხატეს. ვნახე ისეთებიც, რომელთაც ნაყიდი ბილეთები დაეხიათ და გადახდილი ფულიც მათთვის მიეტოვებიათ. ვნახე ერთი პატივცემული და ცნობილი პირიც, რომელსაც სადამოს მომწყობნი შეპირდენ საქველმოქმედო საზოგადოებიდან, ნებართვის აღებას, მაგრამ ეს აღარ ინებეს. რას ნიშნავს ყველა ეს?

მეორე დღეს, 5 ივლისს, რედაქციაში ერთმა კერძო პირმა შენიშვნა შემოიტანა, რომელიც გაზეთის დღიურში მოვათავსეთ და რომელსაც ბ. სიმონი და მისი კომპანია ძალზე აუმღვრევია.

მე ხსენებული ცნობა არ მომიწერავს, მაგრამ რადგანაც პირადათ მე მეხებიან და სამედიატორო სასამართლოშიაც კი მიწვევენ მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს პასუხი გავსცე ბ. სიმონს და მისს კომპანიას.

როდესაც წარმოდგენა იმართება, მოთავენი აცხადებენ გაზეთებში, არიგებენ აფიშებს, ერთი სიტყვით, მეტადინობენ, რომ შემოსავალი; რაც შეიძლება, მეტი იყოს. თქვენ, სამწუხაროთ, ასე არ მოიქეცით. აჭარლების სასარგებლოთ წარმოდგენას ოფიციალური ხასიათი უნდა მიეღო, რომ უფრო მეტი საზოგადოება დასწრებოდა, მაგრამ თქვენ ეს მაიფუჩეთ: აი პირველი თქვენი ბრალდება.

როდესაც ვინმე მოისურვებს აჭარლების სასარგებლოთ გამართოს წარმოდგენა ან სადამო, მან უნდა მიმართოს ნებართვისთვის ასადებათ, როგორც ოფიციალურ პოლიციას, ისე ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას. ეს უკვე პრესის საშუალებითაც იყო გამოქვეყნებული. გაიხსენეთ ამას წინათ რა საყვედური და გმობა ხვდათ წილათ პატივცემულ პირებს „ფონჯანი ჩაის" მოწყობისათვის.

თქვენ ბრძანებთ:-„წარმოდგენის 25% უნდა გადაგვედო აჭარლების სასარგებლოთ, და დანარჩენით კი გასავალი დაგვეფარა, წარმოდგენა გაიმართა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რამდენსაც მოველოდით, არ შემოვიდა".

საკვირველია. გასავალ-შემოსავლის ხარჯთ აღრიცხვა წინდაწინვე შეგიდგენიათ. 25% სდებთ აჭარლების სასარგებლოთ, ხოლო 75% ხარჯებს ანდომებთ. ვსთქვათ შემოსავალი ცოტა იყო და 75% ხარჯები მაინც დაფარა. რა უნდა გქნათ მაშინ 75%—სათვის რომ შემოსავალი ორჯერ მეტი ყოფილიყოს? ვსთქვათ ხარჯები 75% **არ** დაფარა იმ—შემთხვევაში იმ 25% გაიხმარდით, რასაკვირველია. აი ესეც ბრალდება.

საქმე კი ასე იყო, თქვენი აგენტები თითქმის ქალაქის ყველა ქუჩაში დაიარებოდენ და საზოგადოებას ბილეთებს სწვდიდენ. „**იყიდეთ აჭარლების სასარგებლოთ წარმოდგენა იმართებაო**". ეს რომ ასე იყო—თქვენც დამეთანხმებით და თუ ეს ასე იყო, რას ქვია პროცენტები? (!) როდესაც ამა თუ იმ დაწესებულების სახელით სადამო ან წარმოდგენა იმართება მთელი შემოსავალი სადამოისა, ხარჯების გარდა მას უნდა გადაეცეს. წესი ასეა. პროცენტები კი სხვას ნიშნავს, თქვენ თუ გინდოდათ გულშემატკივრობა გამოგეჩინათ აჭარლებისადმი სადამოს შემოსავალის რამდენიმე პროცენტის გადადებით, იმ შემთხვევაში აჭარლების სახელით თქვენს აგენტებს არ უნდა ევაჭრათ. გამართავდით, როგორც იმართება ჩვეულებრივათ წარმოდგენები და შემდეგ რამდენიც გინდოდათ, იმდენ პროცენტს გადასდებდით.

დასასრულ, თქვენ ბრძანებთ „ვინც სადამოზე დაესწრო მეოთხედსაც არ უყიდია ბილეთი. სადამოს თითეულ მონაწილეს 4—5 სული უყვდა მოყვანილი"-ო. შემოსავალს სწუხობთ, რასაკვირველია.. სადამოში მონაწილეობას 15 კაცი ღებულობდით, ამდენივე იყო თქვენი აგენტები. თვითოეულმა უფასოთ მოყვანილი 4—5 კაცი რომ ჩაანგარიშოთ ეს შეადგენს ასზე მეტ [illegible] დან სჩანს, სადამო მხოლოდ [illegible] მართავთ და არა აჭარლებისათვის! [illegible] დეგ ამის შემდეგ ხმა ამოსაღები?!.

**აი ჩემი ბრალდება**... თუ ეს არ გაკმაყოფილებთ და მთხოვთ სამედიატორო სასამართლოში გამოგყვეთ,—არც მე გაგექცევით, მხოლოთ საჭიროა თვითეულმა თქვენგანმა ნიღაბი ახსადოს, რომ ვიცოდეთ რა პიროვნებასთან გვაქვს საქმე. მტეხანი მხარის ჯარიმის გადახდის შესახებ მოლაპარაკება შემდეგ.

**ნიკ რი.**

## სია.

(შემდ. იხილე № 131)

ქარ. შ. წ. კ. საზ. ქუთ. განყ. სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ ვეირნობა-ალეგრისათვის კნ. იუნონა დადიანისამ მოაგროვა შეწირულება შემდეგ პირთაგან: ოლია ერისთავის მეუღლისაგან—1 ხილის ვაზა, ფაფალა მიქელაძის ასულისაგან—1 შუშის საკარქე, კნ. კატო გარდაფხაძისაგან—1 დიდი მაუდის ნაკერი სტოლის საფენი, ლიზა რიჟინაშვილის ასულისაგან—1 თოფი ლენტი, სამი სამაჯე, საპონი, 1 რწყვილი თავზედ დასაბნევი სავარცხელი, ფენია არდიშვილის მეუღლისაგან—5 ქოთანი ყვავილი, თამარ მაჭავარიანის მეუღლისაგან—ერთი პირსახოცი, თვით კნ. იუნონა დადიანისამ—3 მოქსოვილი ქისა, 1 პატარა მაგიდაზედ საფენი, 1 შუშის ხილის საინი, 4 შუშის სამურაბე ლამბაქი, 1 საფერფლე, 3 საყელო და სამაჯე, 1 პატარა მურაბის ვაზა, 1 ლუქუნი უბრალო ჩაის კოგზი, ვაჭრებმა კალანდარიშვილმა, ჩიქოვანმა და დავითაიამ—ტილოს მოქარგული მოსახურავი, მოქარგული ბლუზა, კატია დადიანის ქალმა—1 საწერელი, ცეცე პეტრიაშვილის ასულმა—სავარცხლების ჩასადები. ოლღა გეგეჭკორისამ მოაგროვა შეწირულება შემდეგ პირთაგან:

1—ჩაგანავას მეუღლემ—6 ჩაის ლამბაქი, 2—ქეთო ლეჟავამ—6 ჩაის ფინჯანი ლამბაქებით; 3—რატიანის მეუღლემ—წყლის გრაფინკა სტაქნით, 4—მარუსია ყაჭეიშვილის ქალმა—სასუზრეზედ გადასაფარებელი, 5—ნინო ლორთქიფანიძისამ—ყვავილების ვაზა, 6—ელენე პატარაძის ქალმა—ორი ალბომი, 7—ანტონ გელაზარაშვმა—ორი ვაზა, 8—ელენე კლდიაშვილის ქალმა - ორი მურაბის ვაზა, 9—მანიკა წერეთლის ქალმა - 6 სალფეტკი, ერთი საბლუზე, ფინჯანი პირსახოცი და პერანგის კოკეტკა, 10—კანდელაკის მეუღლემ—1 სასუხრე, 11—ანნა მგალობლიშვილისამ—1 მოქარგული პირსახოცი, 12—ლიუბა ბრეგაძემ—ორი ვაზა, 13—აგრაფინა ფალიანმა—საბლუზე ჩითი, 14 სონია კორძაიას ასულმა—ტილოს პირსახოცი, 15—ელისაბედ ჯავახიშვილის ქალმა—3 ხილის სალფეტკი.

(შემდეგი იქნება.)

რედ.-გამომც. **ი. ცინცაძე**


## თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოსტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში") ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.**

## სამკურნალო აბანო

**პ. ვ. ოგოლაძის.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კიქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.


სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში